ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№2017-20

ქ. თბილისი **06 თებერვალი 2017 წელი**

ერთის მხრივ ,,**ერედვის მუნიციპალიტეტი**", მუნიციპალიტეტეის გამგებლის ოთარ ცოტნიაშვილის (შემდგომში ,,შემსყიდველი") სახით, და მეორეს მხრივ **ი/მ ,,ზვიდ ბოლქვაძე"** ს/კ 52101026283 (შემდგომში ,,მიმწოდებელი") სახით, ვხელმძღვანელობთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის (მე-3 მუხლის ,,ს[1]" ქვეპუნქტი) მოთხოვნათა შესაბამისად. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: ერედვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის შევროლე ნივა სახ.#BHP344 ქიმიური რეცხვა (შიგნიდან და გარედან) და მათან დაკავშირებული საჭირო მომსახურების გაწევა, მათ შორის სალონისა და საბურავების წმენდა, გამშრალება.
1.2. კლასიფიკატორის კოდი (CPV50112300)

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მომსახურების რაოდენობა და ერთეულის ფასი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 120,00 (ასოც) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად.
3.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია:ქ.თბილისი, ქსნის ქ.50.
3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა და სხვა).

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 მარტამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში;
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების მიხედვით, (გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
–შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პრობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო მომსახურების მიღებაზე.
8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
– წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს" მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
8.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
– მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პიგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს 10%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხელოს ანაზღაურება.

9.4. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნეს მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის,ისეთი ნაკლის რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება გამოსწორების შემდეგ)შემთხვევაში.

11.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ,მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგთ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში მიმწოდებელს არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და მისი ნაწილი;

ბ)მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.4 მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ შემთხვევაში შეწყვიტონ/მოშალონ ხელშეკრულება თუ ერთმანეთს აცნობებენ აღნიშნულის თაობაზე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე (წერილობით ან ზეპირად).

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული,როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით. გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2 თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს,მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ,ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულების ინსპექტირება

13.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის ხარისხის და მიწოდების ვადების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი ზაური ყაულაშვილი.
.
13.3. გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას ახორციელებს მიმწოდებელი,შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

16. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ერედვის მუნიციპალიტეტი	**ი/მ „ზვიად ბოლქვაძე“**
მის: თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ №89/24	მის:თბილისი ქსნის ქ. #50
ს/კოდი: 218065055 ტელ:595 339400	
ანგარიშსწორების რეკვიზიტები	ტ 595144336
მიმღები:სახელმწიფო ხაზინა	ს/კოდი:52101026283
მიმღების დასახელება:ხაზინის ერთიანი	ს.ს „საქართველოს ბანკი“
ანგარიში. ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა№ GE24MB0330100200165022	ა/აGE21BG0000000646829800
ოთარ ცოტნიაშვილი	**ინდ. მეწარმე**
ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი	**ზვიად ბოლქვაძე**

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.

ქ.თბილისი **06 თებერვალი 2017 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ „ერედვის მუნიციპალიტეტის“ მიერ ერედვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის შევროლე ნივა BHP 344 ქიმიური რეცხვის მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში,რომლის მოწოდებას ახორციელებს ი/მ ზვიდ ბოლქვაძე (ს/კ 52101026283),ჩვენი მონაწილეობა, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

_____ოთარ ცოტნიაშვილი

ეკონომიკური განვითარების სტატისტიკისა და ქონების
მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი:

---------- ზაური ყაულაშვილი